სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება
ხელშეკრულება №147

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებას, რომელიც დადებულია გამარტივებული შესყიდვის საშუალებით

ქ. ბათუმი 30 ოქტომბერი 2017 წ.

ხელშეკრულების მხარეები:

შპს ,,ბათუმის სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრი'' (შემდგომში **,,შემსყიდველი''**) წარმოდგენილი მისი დირექტორი **მინდია კახიძე,**

შპს ,,პინგვინი'' (შემდგომში **,,მიმწოდებელი''**), წარმოდგენილი მისი დირექტორი **დავით შანიძე,**

ორთავე ერთად **,,მხარეები"**, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობისა და ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" კანონის საფუძველზე, გამარტივებული შესყიდვების შედეგად ვდებთ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები

1.1 "ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში - "ხელშეკრულება") - შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის დადებულ ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2. "ხელშეკრულების ღირებულება" - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

1.3. "შემსყიდველი ორგანიზაცია" (შემდგომში "შემსყიდველი") ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.4. "მიმწოდებელი" - პირი, რომელსაც აქვს შესყიდვის პროცედურებში მონაწილეობის სურვილი ან რომელმაც შემსყიდველ ორგანიზაციასთან დადო ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ;

1.5 "დღე", "კვირა", "თვე" ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს.

1.6. ,,საქონელი'' - ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს **150** ატმოსფეროს მქონე 8 კილოგრამიანი 64 ერთეული ჟანგბადის ბალონის შევსების შესყიდვა, თანახმად დანართი N1-სა, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

2.2 კლასიფიკატორის კოდი : **24100000.**

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება - **1024 (ერთი ათას ოცდაოთხი)** ლარი.

3.2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისიწნებული საქონლის მიწოდებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

4. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

4.1. ანგარიშსწორების ფორმა იქნება: უნაღდო (გადარიცხვა) ეროვნულ ვალუტაში.

4.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება იწარმოებს **(სამედიცინო მომსახურებიდან მიღებული შემოსავლები და შპს სახსრები)** მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 დღის განმავლობაში, წარმოდგენილი მიღება-ჩაბარების აქტის, ანგარიშ–ფაქტურის ან სასაქონლო ზედნადების საფუძველზე.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. „შემსყიდველი" შესყიდვის ობიექტის მიღებას მოახდენს ეტაპობრივად.

5.2. ,,მიმწოდებელი" შესყიდვის ობიექტის (მისი ნაწილის) მიღების და/ან საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტს ან ნაკლი აღმოფხვრავს საკუთარი ხარჯებით გამოვლენიდან/შეტყობინებიდან 3 (სამ) სამუშაო დღის ვადაში.

6. საქონლის მიწოდების ადგილი და ვადა

6.1. საქონლის მიწოდების ადგილად განისაზღვრება შემსყიდველის მისამართი.

6.2. საქონლის მიწოდება შემსყიდველისათვის უნდა განხორციელდეს **2017 წლის 31 დეკემბრის** ჩათვლით ეტაპობრივად, წინამდებარე ხელშეკრულების გაფორმებიდან, შემსყიდველის მოთხოვნიდან 1 დღის ვადაში.

7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1. შემსყიდველი უფლებამოსილია:

ა) ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება;

ბ) საქონლის მიწოდების დასრულებამდე გამოითხოვოს მიმწოდებლისაგან მისთვის საჭირო დოკუმენტი.

7.2. შემსყიდველი ვალდებულია:

- უზრუნველყოს მიმწოდებლის მიერ მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით;

7.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია:

- მოთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით;

7.4. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) მიაწოდოს საქონელი სათანადო ხარისხით და სრული მოცულობით, ხელშეკრულების მე-5 და მე-6 მუხლის შესაბამისად;

ბ) უზრუნველყოს საქონლის მიწოდება დანართი N1-ის შესაბამისად;

გ) იმ შემთხვევაში, თუ მიწოდებული საქონელი ნაკლის მქონე აღმოჩნდება, აღმოფხვრას ნაკლი ან შეცვალოს იგი გამოვლენიდან/შეტყობინებიდან 3 (სამ) სამუშაო დღის ვადაში.

8. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

8.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინპექტირებას განახორციელებს შემსყიდველის მიერ ხელშეკრულების დადების მომენტისათვის შესაბამისად განსაზღვრული პირი.

8.2. ინსპექტირება გულისხმობს ხელშეკრულების პირობების შესრულების, აგრეთვე მიწოდებული საქონლის ხარისხის კონტროლს.

8.3. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

9. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

9.1. ფორს-მაჟორული პირობების გარდა, მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისა ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში შესაძლებელია გამოყენებულ იქნას საჯარიმო სანქციები, ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დაგვიანებით შესრულებისათვის ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 0.02 %.

9.2. იმ შემთხვევაში, თუ საჯარიმო სანქციების ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 4%-ს, შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

9.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულების ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

10.1. არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება, ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

10.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

10.3. ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის და ამ დებულების მოთხოვნათა გათვალისწინებით. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

11. ფორს-მაჟორი

11.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან
მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

11.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

11.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

12. სადაო საკითხების გადაწყვეტა

12.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

12.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს, თუ ხელშეკრულების სპეციფიკურ პირობებში სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

13. ხელშეკრულების ენა

13.1. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე სამ ეგზემპლიარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა. ორი ეგზემპლიარი გადაეცემა შემსყიდველს, ხოლო ერთი ეგზემპლიარი ინახება მიმწოდებელთან.

14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

14.1. ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს **2018 წლის 31 იანვრის** ჩათვლით.

15. მხარეთა რეკვიზიტები

15.1. „მხარეები" ვალდებულნი არიან, რეკვიზიტების ცვლილებები წერილობითი ფორმით აცნობონ ერთმანეთს.

„შემსყიდველი"	„მიმწოდებელი"
შპს „ბათუმის სასწრაფო სამედიცინო	შპს „პინგვინი"
დახმარების ცენტრი"	საიდენტიფიკაციო კოდი - 238725705
საიდენტიფიკაციო კოდი - 245426490	მისამართი: ქ.სამტრედია, კოსტავას I ჩიხი N4
მისამართი: ქ. ბათუმი, ალ.პუშკინის ქ.N154	ელ.ფოსტა:Penguinltd@mail.ru
ტელ: (+0422) 258703	ტელ: 593301904
საბანკო რეკვიზიტები:	საბანკო რეკვიზიტები:
მიმღები ბანკი: ს.ს. „თიბისი ბანკი"	მიმღები ბანკი: ს.ს. „საქართველოს ბანკი"
ბანკის კოდი – TBCBGE22	ბანკის კოდ ი – BAGAGE22
ა/ნ – GE92TB4457360204100006	ა/ნ - ***GE36BG0000000886401100***
---	---
დირექტორი	დირექტორი
მინდია ჯახიძე	დავით შანიძე

დანართი N1

ხელშეკრულება N147

ქ. ბათუმი 30 ოქტომბერი 2017 წ.

N	საქონლის/მომსახურების დასახელება	რაოდენობა	განზომილების ერთეული	ერთეულის ღირებულება	ღირებულება ლარი
1	64 ერთეული, 150 ატმოსფეროს მქონე 8 კგ. უანგბადის ბალონის შევსება	64	ცალი	16	1024
	სულ ჯამი: 1024 ლარი				

„შემსყიდველი“

შპს „ბათუმის სასწრაფო სამედიცინო
დახმარების ცენტრი“
საიდენტიფიკაციო კოდი - 245426490
მისამართი: ქ. ბათუმი, ალ.პუშკინის ქ.N154
ტელ: (+0422) 258703
საბანკო რეკვიზიტები:
მიმღები ბანკი: ს.ს. „თიბისი ბანკი“
ბანკის კოდი - TBCBGE22
ა/ნ – GE92TB4457736020100006

დირექტორი
მინდია ბახიძე

,,მიმწოდებელი“

შპს ,პინგვინი“
საიდენტიფიკაციო კოდი - 238725705
მისამართი: ქ.სამტრედია, კოსტავას I ჩიხი N4
ელ.ფოსტა:Penguinltd@mail.ru
ტელ: 593301904
საბანკო რეკვიზიტები:
მიმღები ბანკი: ს.ს. „საქართველოს ბანკი“
ბანკის კოდ ი – BAGAGE22
ა/ნ - ***GE36BG0000000886401100***

დირექტორი
დავით შანიძე